

მონიტორინგის განმახორციელებელი დირექტორატის როლი და  
პასუხისმგებლობა ერთსაფეხურიანი კორპორაციული მართვის სისტემის  
დროს „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს ახალი კანონის მიხედვით

ანა თათრიშვილი

*სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის სამართლის  
სკოლის სამართლის მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნის  
შესაბამისად*

კერძო (ბიზნეს) სამართალი

სამეცნიერო ხელმძღვანელი: დავით მაისურაძე, სამართლის დოქტორი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2022

## განაცხადი

როგორც წარდგენილი ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.

ანა თათრიშვილი

02.07.2022

## აბსტრაქტი

კორპორაციული მართვის სისტემის სწორად შერჩევის მიზანი საზოგადოების მართვის ორგანოთა შორის უფლებამოსილების ეფექტური გადანაწილებაა. დუალისტური კორპორაციული მართვის სისტემის პარალელურად საქართველოს კანონმდებლობამ საკორპორაციო სამართალში 2022 წლიდან განხორციელებული ცვლილებების შედეგად გაიზიარა მონისტური მართვის სისტემისთვის დამახასიათებელი რეგულირება.

საქართველოს სამეწარმეო სამართლისთვის მნიშვნელოვან ცვლილებას წარმოადგენს მონისტური კორპორაციული მართვის სისტემის არჩევის და მისთვის დამახასიათებელი ნორმების გაზიარება. კანონმდებლობით დუალისტური მართვის სისტემა არ არის თავს მოხვეული და არჩევანის თავისუფლება ეფექტურ კორპორაციულ მართვას განაპირობებს.

განხორციელებული ცვლილებების გათვალისწინებით, მნიშვნელოვანია კონტროლის განმახორციელებელი დირექტორების როლის და უფლებამოსილების საკითხის განსაზღვრა. მონისტური სისტემისთვის სამეთვალყურეო საბჭო, როგორც ხელმძღვანელ პირებზე ზედამხედველობის განმახორციელებელი ორგანო არ არსებობს, შესაბამისად, დირექტორთა გაზრდილმა უფლებამოსილებამ და დამოუკიდებელი ზედამხედველობის განმახორციელებელი ორგანოს არაარსებობამ შესაძლებელია მათ მიმართ კონტროლის მექანიზმების შესუსტება გამოიწვიოს.

ქართული და საერთაშორისო პრაქტიკის გათვალისწინებით, კვლევის ფარგლებში შეფასდა დამოუკიდებელი დირექტორების როლი და მნიშვნელობა აღმასრულებელ დირექტორებზე და მათ მიერ მიღებულ გადაწყვეტილებებზე ეფექტური კონტროლის განხორციელების კუთხით. ხაზი გაესვა საკითხს, აქვთ თუ არა დამოუკიდებელ დირექტორებს იგივე უფლებამოსილება და როლი საზოგადოების კონტროლის კუთხით, რაც დუალისტური მართვის სისტემის შემთხვევაში - სამეთვალყურეო საბჭოს.

კვლევის ფარგლებში შეფასდა მონიტორინგის განმახორციელებელი ანუ არააღმასრულებელი დირექტორების როლი და პასუხისმგებლობა „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონში განხორციელებული ცვლილებების გათვალისწინებით. ქართული საკორპორაციო რეგულირება შედარებულ იქნა ევროპულ და საერთაშორისო გამოცდილებასთან და აღნიშნული ინფორმაციის გათვალისწინებით, შემუშავდა არააღმასრულებელ დირექტორებთან და მათ მიერ ზედამხედველობის განხორციელების უფლებამოსილებასთან დაკავშირებული გამოწვევები და რეკომენდაციები, რაც ხელს უწყობს დირექტორთა საბჭოზე დაკისრებული მოვალეობების კეთილსინდისიერად შესრულებას და ინტერესთა კონფლიქტის აღმოფხვრას.

**ძირითადი საძიებო სიტყვები:** არააღმასრულებელი დირექტორი, აღმასრულებელი დირექტორი, სამეთვალყურეო საბჭო, კორპორაციული მართვის სისტემა, ფიდუციური მოვალეობები, მონისტური კორპორაციული მართვის სისტემა, დუალისტური კორპორაციული მართვის სისტემა.

## Abstract

The main goal of adequately selecting a Corporate Governance System is to redistribute power among public governing bodies effectively. In parallel with the Dual Corporate Governance System, Georgian legislation has shared regulations specific to the Monistic Governance System due to changes in corporate law since 2022.

A significant change in Georgian Corporate Law is the choice of a Monistic Corporate Governance System and sharing its norms. The Dual Management System is not enshrined in law, and freedom of choice presupposes effective Corporate Governance.

Given the changes that have taken place, it is essential to define the role and authority of the controlling directors. There is no supervisory board for the Monistic System as a supervisory body. Therefore the increased powers of the directors and the absence of an independent supervisory body may weaken the control mechanisms over them.

Considering Georgian and international practice, the study assessed the role and importance of independent directors in exercising effective control over executive directors and their decisions. The question of whether independent directors have the same authority and position in public control as in the case of a Dual Management System - the supervisory board - was emphasized.

The study assessed the role and responsibilities of monitoring or non-executive directors, considering the amendments to the Law of Georgia on Entrepreneurs. Georgian corporate regulation has been compared with European and international experience and, taking into account this information, challenges and recommendations related to non-executive directors and supervisory authorities have been assessed and developed, contributing to the conscientious performance of duties on the Board of Directors and elimination of conflicts of interest.

**Key words:** Non-Executive Director, Executive Director, Supervisory Board, Corporate Governance System, Fiduciary Duties, Monistic Corporate Governance System, Dual Corporate Governance System.